მ ო ძ რ ა ვ ი ნ ი ვ თ ი ს ჩ უ ქ ე ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი, ___ _____, 2022წ.

ფ/პ _____ _____ (პ/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც - **„მჩუქებელი“**, ერთის მხრივ და **ფ/პ** _____ _____ (პ/ნ _____), შემდეგში წოდებული როგორც - **„დასაჩუქრებული“**, მეორეს მხრივ, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება**“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„ხელშეკრულების“** საფუძველზე **„მჩუქებელი“,** უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადასცემს **„დასაჩუქრებულს“** მოძრავ ნივთს - _____-ს (შემდეგში - **„საჩუქარი“**);

1.2. **„საჩუქარი“**, რომელიც გადაეცემა **„დასაჩუქრებულს“**, **„წარმოადგენს“ „მჩუქებლის“** საკუთრებას და უფლებრივად უნაკლოა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. **„მჩუქებელი“** ვალდებულია:

2.1.1.საკუთრებაში გადასცეს **„დასაჩუქრებულს“ „საჩუქარი“**;

2.1.2.მიაწოდოს **„დასაჩუქრებულს“** ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, დოკუმენტური), რაც დაკავშირებულია **„ხელშეკრულების“** საგანთან, მათ შორის, **„საჩუქრის“** მდგომარეობისა და ხარისხის შესახებ;

2.1.3.შეასრულოს **„ხელშეკრულებითა“** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2. **„დასაჩუქრებული“** ვალდებულია:

2.2.1.საკუთრებაში მიიღოს **„საჩუქარი“**;

2.2.2. შეასრულოს **„ხელშეკრულებითა“** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3. გადაცემული „საჩუქრის“ ანაზღაურება:

3.1. **„დასაჩუქრებულს“** არ ეკისრება **„მჩუქებლისთვის“** რაიმე სახის ანაზღაურების (ფასის, ღირებულების, კომპენსაციის, სარგებლის და სხვა) გადახდის ვალდებულება;

3.2. **„დასაჩუქრებულს“** არ ეკისრება **„მჩუქებლის“** სასარგებლოდ რაიმე სახის ქმედების შესრულების (მ.შ. მიღებული **„საჩუქრის“** სანაცვლოდ საქონლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის ან სხვა ქმედების შესრულების) ვალდებულება.

4. „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლა:

4.1. **„ხელშეკრულება“** ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ **„ხელშეკრულებით“** ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე;

4.2. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალი მქონე 2 ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

„მჩუქებელი“

_____ /_____ _____ (პ/ნ _____)/

„დასაჩუქრებული“

_____ /_____ _____ (პ/ნ _____)/